აჭარის ტელევიზია და რადიო
საზოგადოებრივი მაუწყებელი

საქართველო, 6010,ბათუმი მემედ აბაშიძის, 41
41, Memed Abashidze av. Batumi, 6010, Georgia
Tel : + 995 422 274370/274382
Fax: + 995 422 274384/274371
info@ajaratv.ge
ajaratv.ge

N 02-19/247
30.08.2024

247-02-19-2-202408301828

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი”-ის 50-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის 26 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ში (შემდეგში - ,,მაუწყებელი“) წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსებისათვის დროის გამოყოფისა და ტარიფების შესახებ ინფორმაციას:

მაუწყებელში წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსებისათვის საეთერო დრო გამოყოფილია 2024 წლის 06 სექტემბრიდან 26 ოქტომბრამდე პერიოდში, ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის.

მაუწყებლის სატელევიზიო არხსა და რადიო ეთერში (FM104.5) ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა, ფასიანი პოლიტიკური რეკლამისათვის შეადგენს 60-60 წუთს, ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთად.

მაუწყებლის ეთერში წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსების ტარიფები:

სატელევიზიო ეთერში		
პროგრამის გასვლის დრო	**გასვლის დღე**	**1 წთ-ის ღირებულება ლარებში, დღგ-ს ჩათვლით**
08:00-17:59	ორშაბათი-კვირა	850
18:00-23:59	ორშაბათი-კვირა	3000
00:00-02:00	ორშაბათი-კვირა	700

რადიო ეთერი FM104.5 ეთერში		
პროგრამის გასვლის დრო	**გასვლის დღე**	**1 წთ-ის ღირებულება ლარებში, დღგ-ს ჩათვლით**
08:00-17:59	ორშაბათი-კვირა	250
18:00-23:59	ორშაბათი-კვირა	300
00:00-02:00	ორშაბათი-კვირა	200

პატივისცემით,
ეკატერინე შაინიძე

დირექტორი - მ.შ.